ნომერი: 12-01192042793-60
თარიღი: 23.07.2019 17:54
ვადა: 22.08.2019

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 10-01192042068 განცხადების თარიღი: 23.07.2019
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადება/ნომენკლატურა

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

გზავნილი იზა ჩიკვაიძის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 8 კორპ."-ის საჩივარზე ბრძ 1040

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
№ 12-01192042793-60
23.07.2019 : 17:54
ქ. თბილისი 0160, ზ.შარტავას ქ. N7

წერილის ნომერი: **10-01192042068**
თარიღი: **23/07/2019**
პინი: **6805**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2019 წლის 22 მაისს იზა ჩიკვაიძის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 8 კორპ."-ის თავმჯდომარის, თეიმურაზ კაპანაძის მიერ წარმოდგენილ №19/01191422006-01 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) 2019 წლის 22 ივლისის #1040 ბრძანების სახით.

დანართი: 13 (ცამეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ჯუმბერ ყანდარელი

იურიდიული საქალაქო სამსახური-
ადმინისტრაციული დავების განხილვისა და
სამართლებრივი აქტების მომზადების
განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება №1040

"22" ივლისი 2019 წ.

იზა ჩიკვაიძის და ბმა „ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 8 კორპ."-ის თავმჯდომარის, თეიმურაზ კაპანაძის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე

2019 წლის 22 მაისს იზა ჩიკვაიძემ და ბმა „ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 8 კორპ."-ის თავმჯდომარემ, თეიმურაზ კაპანაძემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინეს №19/01191422006-01 ადმინისტრაციული საჩივარი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში - „არქიტექტურის სამსახური") 2016 წლის 4 ნოემბრის №2928360, 2016 წლის 19 დეკემბრის №3005917 და 2018 წლის 4 ოქტომბრის №4198538 ბრძანებების ბათილად ცნობის და ამავე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე და 181-ე მუხლებთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად, ადმინისტრაციულ საჩივარზე გარემოებათა გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, საკითხთან დაკავშირებით 2019 წლის 4 ივნისს გაიმართა ზეპირი მოსმენის სხდომა, რომელზეც გამოცხადდნენ: საჩივრის ავტორები, იზა ჩიკვაიძე და ბმა „ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 8 კორპ."-ის თავმჯდომარე, თეიმურაზ კაპანაძე; მოწინააღმდეგე მხარის, არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი, სალომე არჩვაძე; დაინტერესებული მხარის, შპს „თიმვორქის" დირექტორის მოჰამმადრეზა შაფაათის წარმომადგენელი, თეკლა კუხიანიძე.

წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნულია, რომ არქიტექტურის სამსახურის სადავო ბრძანებები ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და ისინი ბათილად უნდა იქნას ცნობილი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე საჩივრების ავტორები დაეთანხმნენ ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებულ გარემოებებს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება.

მოწინააღმდეგე მხარის, არქიტექტურის სამსახურისა და დაინტერესებული მხარის, შპს „თიმვორქის“ წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და განმარტეს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონიერია, რის გამოც არ არსებობს მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

მოცემულ საქმეზე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლევის შემდეგ, ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ იზა ჩიკვაიძის და ბმა „ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 8 კორპ.“-ის თავმჯდომარის, თეიმურაზ კაპანაძის ადმინისტრაციული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უდავო გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 12 დეკემბრის №1826 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას II კვარტალში, კორპუსი №7-ის მიმდებარედ და ვაჟა-ფშაველას II კვ. მიმდებარედ, 01.14.03.005.020 და 01.14.03.005.010 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური შენობის (სავაჭრო-საოფისე) განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

უდავო გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 24 ივლისის №810974 ბრძანებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა იზოლდა ვაშაკიძის 2013 წლის 3 ივლისის №AR1143648 განცხადება და ცვლილება შევიდა 2011 წლის 12 დეკემბრის №1826 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდა 240.00 კვ.მ., 215.00 კვ.მ., 26.00 კვ.მ., 38.00 კვ.მ. და საკადასტრო კოდებად მიეთითა 01.14.03.005.020, 01.14.03.005.010, 01.14.03.005.022 და 01.14.03.005.013.

უდავო გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 5 აგვისტოს №2761022 ბრძანებით დაკმაყოფილდა იზოლდა ვაშაკიძის 2016 წლის 26 ივლისის №AR1426537 განცხადება და ცვლილება შევიდა არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 12 დეკემბრის №1826 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ, დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; მიწის ნაკვეთის ფართობად მიეთითა - 519 კვ.მ., საკადასტრო კოდად დაფიქსირდა 01.14.03.005.026.

ასევე უდავო გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 ნოემბრის №2928360 ბრძანებით დაკმაყოფილდა ილია ხავთასის 2016 წლის 16 აგვისტოს №AR1432605 განცხადება და ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №70-ის მიმდებარედ / ქ. თბილისში, ვაჟა-

ფშაველას II კვარტალი, კორპუსი №7-ის მიმდებარედ, ნუცუბიძის ქუჩის მხრიდან / ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვარტალი, მიმდებარედ (ნაკვეთი 05/019) / ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №70-ის მიმდებარედ / ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №70-ში, 01.14.03.005.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო-საოფისე) არქიტექტურული პროექტი.

ასევე უდავოა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 დეკემბრის №3005917 ბრძანებით დაკმაყოფილდა ილია ხავთასის 2016 წლის 2 დეკემბრის №AR1458651 განცხადება, ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №70-ის მიმდებარედ / ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას II კვარტალი, კორპუსი №7-ის მიმდებარედ, ნუცუბიძის ქუჩის მხრიდან / ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვარტალი, მიმდებარედ (ნაკვეთი 05/019) / ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №70-ის მიმდებარედ / ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №70-ში, 01.14.03.005.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო-საოფისე) მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. ამავე ბრძანებით მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 19 დეკემბრიდან 2018 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით.

უდავოა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 4 ოქტომბრის №4198538 ბრძანებით დაკმაყოფილდა ილია ხავთასის 2018 წლის 20 სექტემბრის №AR1632105 განცხადება, ცვლილება შევიდა ამავე სამსახურის 2016 წლის 19 დეკემბრის №3005917 ბრძანებაში და ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №68-ში, 01.14.03.005.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გაცემული მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო-საოფისე) მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 4 ოქტომბრიდან 2020 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით.

ასევე უდავოა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2019 წლის 29 მაისის №651 ბრძანებით შეჩერდა არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 4 ოქტომბრის №4198538 ბრძანების მოქმედება იზა ჩიკვაიძის 2019 წლის 22 მაისის №19/01191422006-01 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საჯარო რეესტრის 2019 წლის 29 მარტის ამონაწერის (№882019217881 განცხადება) საფუძველზე დგინდება, რომ ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქ. №68, 01.14.03.005.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „თიმვორქ“.

საჯარო რეესტრის 2016 წლის 22 ივნისის ამონაწერის (№882016392834 განცხადება) საფუძველზე დგინდება, რომ ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას II კვ., კორპუსი №17-ის მიმდებარედ, 01.14.03.005.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა იზა ჩიკვაიძე.

დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას II კვ., კორპუსი №8-ში (ს/კ: 01.14.03.005.001) შექმნილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 8 კორპ.“. ასევე დგინდება, რომ აღნიშნული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეს წარმოადგენს თეიმურაზ კაპანაძე.

არქიტექტურის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინტერაქტიული რუკის მეშვეობით დგინდება, რომ 01.14.03.005.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს 01.14.03.005.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის მომიჯნავედ.

საქმის მასალებში წარმოდგენილია სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2019 წლის 6 ივნისის № MIA 7 19 01455782 დასკვნა, რომელშიც ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №70-ში, 01.14.03.005.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულ მრავალფუნქციური კომპლექსის საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებით დაფიქსირებულია რიგი შენიშვნები, მათ შორის, შემდეგი:

„შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისთვის გათვალისწინდეს სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა. გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების 100 მმ ქსელზე სახანძრო ჰიდრანტი დამონტაჟდეს სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2.5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. იმ შემთხვევაში, თუ განაშენიანების უბანში არსებობს წყალმომარაგების ქსელი და დასაპროექტებელი შენობიდან 200 მეტრის რადიუსში უკვე დამონტაჟებულია სახანძრო ჰიდრანტი, შენობის გარე ხანძარჩაქრობისთვის ახალი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა საჭირო არ არის.“

„შენობის ყველა სართულიდან გათვალისწინდეს მეორე საევაკუაციო გასასვლელის მოწყობა.“

„ვინაიდან სამშენებლო დოკუმენტაციაში საერთოდ არ განიხილება ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 50-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, სამსახურს აუცილებლად მიაჩნია შემუშავებული იქნას შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია და დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილ იქნას განსახილველად, რომელიც უნდა შეიცავდეს: ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს; ბ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს; გ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტს; დ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტს; ე) შენობების გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტს; ვ) შენობის ელექტროდანადგარების მოწყობის პროექტს.

ამასთან ერთად, გაცნობებთ, რომ ავტოსადგომების მოწყობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ღია ავტოსადგომებს განეკუთვნება ის ფართობები, რომლის კედლების 50% არის ღია და განიავებადი, გათვალისწინდეს, რომ თუ დაპროექტების დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ავტოსადგომებისთვის არ მოეწყობა დამატებითი ღიობები, რომელიც დააკმაყოფილებს ღია ავტოსადგომების მოწყობის მოთხოვნებს, ავტოსადგომი განიხილება როგორც დახურული და მასზე გავრცელდება შესაბამისი სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და ნორმების მოთხოვნები.“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-40 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც განაშენიანების რეგულირების წესების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის/წერილობითი დასტურის გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება ან/და გაცემულია მშენებლობის ნებართვა/წერილობითი დასტური, ან დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, ვრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი რეგულირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესები უფრო ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებს და მის გამოყენებაზე მოთხოვნას აყენებს განმცხადებელი.“

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ რამდენადაც, განსახილველ შემთხვევაში, ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქ. №68-ში, 01.14.03.005.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 12 დეკემბრის №1826 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება, განსახილველი სამართალურთიერთობისა და სადავოდ გამხდარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესაფასებლად „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებასთან (შემდგომში - „№57 დადგენილება“) ერთად, გამოყენებულ უნდა იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხების მარეგულირებელი ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით (შემდგომში - „№4-13 გადაწყვეტილება“) დამტკიცებული წესები.

№57 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით, განსაზღვრულ შემთხვევებში სათანადო წესით მიღებული მშენებლობის ნებართვა.“ ამავე დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვა გაიცემა ახალ მშენებლობაზე.“ მითითებული დადგენილების 37-ე

მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად, გარდა 38-ე და 39-ე მუხლებით დადგენილი შემთხვევებისა, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.“ ამავე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვის I სტადიას წარმოადგენს ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა, II სტადიას - არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, III სტადია - მშენებლობის ნებართვის გაცემა.

№57 დადგენილების 72-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „III კლასის შენობა-ნაგებობის ახალი მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების, ამ დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემისა და სამშენებლო დოკუმენტის პროექტის საფუძველზე“.

საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს III კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური კომპლექსი) მშენებლობის თაობაზე არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 ნოემბრის №2928360, 2016 წლის 19 დეკემბრის №3005917 და 2018 წლის 4 ოქტომბრის №4198538 ბრძანებები.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს №4-13 გადაწყვეტილების 34-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, „ამ თავის მიზნებისათვის სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარი (საკადასტრო საზღვარი) არის 2 სახის: ა) სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივი საზღვარი – როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთი ესაზღვრება ქუჩას ან/და სხვა საზოგადოებრივ სივრცეს (მათ შორის ჩიხს); ბ) სამშენებლო მიწის ნაკვეთის სამეზობლო საზღვარი – როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთი ესაზღვრება სამშენებლო მიწის ნაკვეთს, ან ისეთ არასამშენებლო მიწის ნაკვეთს, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოებრივ სივრცეს.“

ამავე წესების 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „შესაბამისი საზღვრის მხარეს განთავსებულად ითვლება შენობის ყველა ის საანგარიშო ზედაპირი, რომელიც საზღვრის წარმოსახვით ვერტიკალურ სიბრტყესთან ქმნის ნულიდან 45 გრადუსის ჩათვლით კუთხეს,“ ხოლო აღნიშნული მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, „სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში განთავსებულად ითვლება შენობა ან მისი ნაწილი, რომელიც სამეზობლო საზღვრიდან 3.0 მეტრზე ნაკლები მანძილით არის დაშორებული.“ ზემოხსენებული მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით, „შენობის საანგარიშო ზედაპირის ან მისი ნაწილის განთავსება სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში დასაშვებია სამეზობლო საზღვრის მხარეს,

კარის, ფანჯრის, სამტრედეს და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილის, ასევე აივნის, ერკერის და ტერასის გარეშე".

№4-13 გადაწყვეტილების 34-ე მუხლის მე-19 პუნქტის თანახმად, „შენობის სამეზობლო საზღვრის მხარეს კარის, ფანჯრის, სამტრედეს და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილის საანგარიშო ზედაპირზე მოწყობის სიმაღლე დამოკიდებულია შენობის სამეზობლო საზღვრის მხარეს არსებულ საანგარიშო ზედაპირსა და სამეზობლო საზღვრის წარმოსახვით ვერტიკალურ სიბრტყემდე პერპენდიკულარულ დაშორებაზე ქვემოთ მოცემული ჩამონათვალის შესაბამისად: ა) 3.0 მ დაშორების შემთხვევაში – 7.5 მ-მდე სიმაღლეზე; ბ) 3.0 მ-დან 7.5 მ-მდე დაშორების შემთხვევაში – შემდეგი ფორმულის შემდეგი შეფარდების შესაბამისად: დაშორება გაყოფილი 0.4-ზე; გ) 7.5 მ-ზე მეტი დაშორების შემთხვევაში – საანგარიშო ზედაპირის მაქსიმალურ სიმაღლემდე."

როგორც დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებში აღინიშნა, 01.14.03.005.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და იზა ჩიკვაიძის საკუთრებაში არსებულ 01.14.03.005.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს შორის არსებობს სამეზობლო საზღვარი, ხოლო ბმა „ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 8 კორპ."-ის საკუთრებაში არსებულ 01.14.03.005.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ნივთს საპროექტო მიწის ნაკვეთთან (ს/კ: 01.14.03.005.026) სამეზობლო საზღვარი არ გააჩნია. შესაბამისად, შესაფასებელია, თუ რამდენად დაცულია საპროექტო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში საპროექტო შენობა-ნაგებობის საანგარიშო ზედაპირის (მისი ნაწილის) განთავსებასთან და სამეზობლო მხარეს მდებარე შენობის საანგარიშო ზედაპირზე ღია ნაწილების მოწყობასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები 01.14.03.005.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმართ.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 ნოემბრის №2928360 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის არქიტექტურული პროექტის, კერძოდ, სართულებრივი გეგმების შესწავლის საფუძველზე ადგენს, რომ საპროექტო შენობა-ნაგებობის 01.14.03.005.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მხარეს განთავსებულ საანგარიშო ზედაპირზე ღიობები გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად, აღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმართ დაცულია მიჯნის ზონაში შენობის განთავსების წესები.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 ნოემბრის №2928360 ბრძანების გამოცემის დროისთვის მოქმედი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში საჯარო ინტერესებს განეკუთვნება: ქვეყნის დასახლებებისა და დასახლებათაშორისი ტერიტორიების მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობების უზრუნველყოფა, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის

ფუნქციონირება, ბუნებრივი რესურსების, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის, სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება და განვითარება. თუ სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ღონისძიებები ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს, უნდა დაისვას მათი შეწყვეტის საკითხი". ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში კერძო ინტერესებს განეკუთვნება: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ინტერესები, დაკავშირებული მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ობიექტების) სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვასთან და განვითარებასთან, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში არსებობასთან. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საჯარო ინტერესებს, ხელყოფს სხვათა უფლებებს".

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში სხვა დანარჩენთან ერთად, საჯარო ინტერესებს განეკუთვნება ტერიტორიების უსაფრთხო განვითარება.

არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 ნოემბრის №2928360 ბრძანების გამოცემის დროისთვის მოქმედი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, „ეს კანონი განსაზღვრავს: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, ფიზიკური პირების (შემდგომ – მოსახლეობა) და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს". სამოქალაქო უსაფრთხოების ცნების ქვეშ, ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოიაზრება ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მოიცავს: საგანგებო სიტუაციის პრევენციას და საგანგებო სიტუაციის შედეგების მიტიგაციას; სახანძრო უსაფრთხოებას, მათ შორის, ხანძრის პროფილაქტიკის ორგანიზებას, მის ჩაქრობას და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებას; სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტის უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფას და ა. შ.

ამავე კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, „სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისთვის მიკუთვნებული ობიექტებია: მრავალფუნქციური შენობები და კომპლექსები, სავაჭრო ცენტრები, კომპლექსები და ჰიპერმარკეტები, საკლუბო და გასართობ-დასასვენებელი ცენტრები 300 მ²-ზე მეტი ფართობით, 100 და მეტადგილიანი სასტუმროს, ტურისტული ბაზის, სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და კემპინგის შენობა-ნაგებობები", ხოლო ამავე კანონის 56-ე მუხლის მე-13 პუნქტი ადგენს, რომ ამ კანონით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების სფეროში შესაბამისობის დადგენა განხორციელდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შემუშავებული და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილებით

დამტკიცებული „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების“ მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, მრავალფუნქციურია შენობა, რომელიც მოიცავს გეგმარების ხერხებით ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ ან მეტ ფუნქციურ-გეგმარებით კომპონენტს.

საქმის მასალებში წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად, ასაშენებელი ობიექტი თავისი ფუნქციურ-გეგმარებითი კომპონენტის გათვალისწინებით წარმოადგენს მრავალფუნქციურ კომპლექსს/შენობას. აღნიშნულის თაობაზე სადავო ბრძანებებში დაფიქსირებულია პირდაპირი მითითება. კერძოდ, ხსენებული აქტებით შეთანხმებულია შერეული ფუნქციის ობიექტის არქიტექტურული პროექტი და მის საფუძველზე გაცემულია მშენებლობის ნებართვა. ამრიგად, იგი მოიცავს როგორც კომერციულ ფართს, ისე საოფისე ფართს. დასახელებულ გარემოებაზე დაყრდნობით, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ საპროექტო შენობა-ნაგებობა მოაზრებული უნდა იქნეს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისთვის მიკუთვნებულ ობიექტებს შორის.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ნორმატიულ-ტექნიკური მუშაობა – ზედამხედველობის ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც მოიცავს ზედამხედველობის ორგანოების უფლებამოსილი თანამდებობის პირების, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობას სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას მიკუთვნებული ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში (ადმინისტრაციული წარმოების შესაბამის სტადიაზე), აგრეთვე მათ მიერ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდის და სათანადო აქტის გაფორმებას, სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის (დადასტურების) ორგანიზებას და განხორციელებას“.

ამავე დებულების 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ზედამხედველობის ორგანოებში, მშენებლობის ნებართვის გამცემი უფლებამოსილი სამსახურის წარდგინებით, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორები სამოქმედო ტერიტორიის საზღვრებში აწარმოებენ: სახანძრო ზედამხედველობას მიკუთვნებული ობიექტების წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის დადგენილ ვადებში განხილვას და სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ წერილობითი დასკვნის მომზადებას“.

საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულების (მრავალფუნქციური) გათვალისწინებით, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არქიტექტურის სამსახური მოცემულ შემთხვევაში ვალდებული იყო მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ჩაერთო სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანო, რაც თავის მხრივ, ემსახურება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, როგორც განსაკუთრებული ღირებულების მქონე სამართლებრივი სიკეთეების დაცვას.

№57 დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, „მშენებლობის ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების დადგენა ხორციელდება შემდეგი პრინციპებით: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება; უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა“.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ კანონმდებლობის იმპერატიული დანაწესის თანახმად, არქიტექტურის სამსახური ვალდებულია მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში მისაღები გადაწყვეტილების დროს დაიცვას მშენებლობის ნებართვის გაცემის ისეთი ფუნდამენტალური პრინციპები, როგორიცაა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება და უზრუნველყოს ამისათვის უსაფრთხო გარემო. განსახილველ შემთხვევაში კი, როგორც უკვე აღინიშნა, გასაჩივრებული ბრძანების გამოცემის დროს არქიტექტურის სამსახურის მიერ არ ყოფილა გამოკვლეული ისეთი არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, როგორიცაა საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობა სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან, რის გამოც წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ფარგლებში, მითითებული გარემოების დადგენის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის 2019 წლის 30 მაისის №10-01191501762 წერილით სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადაეგზავნა მიმართვა შესაბამისი წერილობითი დასკვნის გამოსათხოვად.

როგორც უკვე აღინიშნა, საქმის მასალებში წარმოდგენილია სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2019 წლის 6 ივნისის № MIA 7 19 01455782 დასკვნა, რომელშიც არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 ნოემბრის №2928360 ბრძანებით შეთანხმებულ მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტთან დაკავშირებით დაფიქსირებულია გარკვეული სახის შენიშვნები, რომელთა საპროექტო დოკუმენტაციაში გათვალისწინებაც, აღნიშნული დასკვნის მიხედვით, სავალდებულოა.

ამდენად, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზემოხსენებული დასკვნა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმ ხარვეზებზე, რომელთაც არქიტექტურის სამსახურის სადავო აქტებით შეთანხმებული მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის

პროექტი მოიცავს. აღნიშნული გარემოება კი, თავის მხრივ, ცხადყოფს საპროექტო დოკუმენტაციის შეუსაბამობას სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან, რაც ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №70-ის მიმდებარედ / ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას II კვარტალი, კორპუსი №7-ის მიმდებარედ, ნუცუბიძის ქუჩის მხრიდან / ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვარტალი, მიმდებარედ (ნაკვეთი 05/019) / ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №70-ის მიმდებარედ / ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №70-ში, 01.14.03.005.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო-საოფისე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 ნოემბრის №2928360 ბრძანებას კანონსაწინააღმდეგო ხასიათს ანიჭებს და მის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოშობს.

ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ ვინაიდან უკანონოდ იქნა მიჩნეული არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 ნოემბრის №2928360 ბრძანებით ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №70-ის მიმდებარედ / ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას II კვარტალი, კორპუსი №7-ის მიმდებარედ, ნუცუბიძის ქუჩის მხრიდან / ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვარტალი, მიმდებარედ (ნაკვეთი 05/019) / ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №70-ის მიმდებარედ / ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №70-ში, 01.14.03.005.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო-საოფისე) არქიტექტურული პროექტი, კანონშეუსაბამოდ უნდა იქნას მიჩნეული აღნიშნული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაცემული მშენებლობის ნებართვა და ხსენებული მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაც. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ასკვნის, რომ არსებობს არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 დეკემბრის №3005917 და 2018 წლის 4 ოქტომბრის №4198538 ბრძანებების ბათილად ცნობის საფუძველიც.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს“. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის შედეგად, ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რის გამოც არსებობს მათი ბათილად ცნობისა და არქიტექტურის სამსახურისათვის ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდგომ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი, რა დროსაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს დამკვეთის მიერ შესაბამისი განცხადების წარდგენის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით.

ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2019 წლის 29 მაისის №651 ბრძანებით შეჩერდა არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 4 ოქტომბრის №4198538 ბრძანების მოქმედება იზა ჩიკვაიძის 2019 წლის 22 მაისის №19/01191422006-01 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. შესაბამისად, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის I, IV, VI, XIII თავების, 60[1] მუხლის, 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების“, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების

რეგულირების საკითხების მარეგულირებელი ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ბრძანებს:

1. დაკმაყოფილდეს იზა ჩიკვაიძის და ბმა „ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 8 კორპ.“-ის თავმჯდომარის, თეიმურაზ კაპანაძის 2019 წლის 22 მაისის №19/01191422006-01 ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ბათილად იქნას ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 4 ნოემბრის №2928360, 2016 წლის 19 დეკემბრის №3005917 და 2018 წლის 4 ოქტომბრის №4198538 ბრძანებები.
3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდგომ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2019 წლის 29 მაისის №651 ბრძანება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 4 ოქტომბრის №4198538 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე.
5. ბრძანების ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე